

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11  
2022 წლის 16 მარტი

ქ. ვანი

## „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 30.12.2021 წელი, 010250020.35.121.016442) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამის“ (დანართი №1) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) თუ ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდეა, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზარდება 20 (ოცი) %-ით.“

**2. დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (დანართი №2) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ 5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ოჯახის არასრულწლოვანი შვილები, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტიურად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.“

**3. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №4) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში და პროგრამით სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.“

**4. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №4) მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ გ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.“

**5. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების**



**პროგრამის“ (დანართი №4) მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ დ) მე-5 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დაავადებული ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, ცნობა ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში ბენეფიციარის ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

